ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №54
2014 წლის 29 ოქტომბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის,, მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა,.ა,, ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52^1 მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ,, ,23-ე მუხლის პირველი პუნქტისა საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ხონის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში შეიქმნეს შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები: ქალაქის, გორდის, გოჩა ჯიხაიშის, გუბის, დედალაურის, ივანდიდის, კინჩხის, კუხის, მათხოჯის, ნახახულევის, საწულუკიძეოს, ქუტირის, ძეძილეთის.

მუხლი 2

დადგინდეს ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრები თანდართული დანართის მიხედვით.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვალერი ბახტაძე**

დანართი

ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის

საზღვრების ა ღ წ ე რ ა

1. ქალაქი - ქალაქი ხონი
საზღვრები მთლიანად ემთხვევა ქალაქ ხონის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

2. გორდი - სოფელი ქვედა გორდი, სოფელი ბანგვეთი, სოფელი გაღმა ნოღა, სოფელი ზედა გორდი.

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლებს: ქვედა გორდის, ბანგვეთის, გაღმა ნოღას, ზედა გორდის, ადმინისტრაციულ საზღვრებს.

3. გოჩა-ჯიხაიში - სოფელი გოჩა ჯიხაიში

საზღვრები მთლიანად ამთხვევა სოფელ გოჩა ჯიხაიშის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

4. გუბი- სოფელი დიდი გუბი, სოფელი პატარა გუბი, სოფელი შუა გუბი საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლებს: დიდი გუბის, პატარა გუბის, შუა გუბის ადმინისტრაციულ საზღვრებს

5. დედალაური - სოფელი დედალაური, სოფელი ბესიაური, სოფელი ჩუნეში, სოფელი ხარაბაული, სოფელი ჩაის მეურნეობა

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: დედალაურის, ბესიაურის, ჩუნეშის, ხარაბაულის, ჩაის მეურნეობის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

6. ივანდიდი- სოფელი ივანდიდი

საზღვრები ემთხვევა სოფელ ივანდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

7. კინჩხა- სოფელი ქვედა კინჩხა, სოფელი ზედა კინჩხა, სოფელი კინჩხაფერდი, სოფელი რონდიში, სოფელი საწისქვილო.

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: ქვედა კინჩხის, ზედა კინჩხის, კინჩხაფერდის, რონდიშის, საწისქვილოს ადმინისტრაციულ საზღვრებს.

8. კუხი- სოფელი დიდი კუხი, სოფელი ახალშენი, სოფელი პატარა კუხი, სოფელი ნამაშევი

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: დიდი კუხის, ახალშენის, პატარა კუხის და ნამაშევის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

9. მათხოჯი- სოფელი მათხოჯი, სოფელი ლეფილიე, სოფელი სუხჩა, სოფელი ხიდი.

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: მათხოჯის, ლეფილიეს, სუხჩას და ხიდის ადმინისტრაციულ საზღვრებს

10. ნახახულევი -სოფელი ნახახულევი, სოფელი ახალბედისეული, სოფელი კონტუათი, სოფელი უძლოური, სოფელი საწულუკიძეო,

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: ნახახულევის, ახალბედისიაულის, კონტუათის, უძლოურის და საწულუკიძეოს ადმინისტრაციულ საზღვრებს.

11. ქუტირი- სოფელი ქუტირი, სოფელი გვაზაური, სოფელი პატარ ჯიხაიში

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: ქუტირის, გვაზაურის და პატარა ჯიხაიშის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

12. ძეძილეთის- სოფელი ძეძილეთი, სოფელი გელავერი, სოფელი გვაშტიბი, სოფელი ორაგვეთი, სოფელი ღვედი

საზღვრები მთლიანად ემთხვევა სოფლების: ძეძილეთის, გელავერის, გვაშტიბის, ორგვეთის და

ღვედის ადმინისტრაციულ საზღვრებს.